



**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო**

**Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories,
Labour, Health and Social Affairs of Georgia**



KA030110812873120

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/5042

11 / მაისი / 2020 წ.

ავსტრიის პოლიციის ატაშეს საქართველოსა
და აზერბაიჯანის რესპუბლიკაში
ბატონ გერალდ ჰიორმანს

ბატონო გერალდ,

თქვენი 2020 წლის 13 მარტის წლის 19 დეკემბრის VB-GZP: 20MA075-GE-003 წერილის პასუხად წარმოგიდგენთ ინფორმაციას საქართველოში დიაბეტის მკურნალობის თაობაზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, კერძოდ:

ამჟამად მოქმედებს „დიაბეტის მართვის“ სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მოიცავს:

ა) შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა მომსახურებას (საანალიზო-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა, ენდოკრინოლოგის კონსულტაცია/ მეთვალყურეობა; გლიკოპემოგლობინის განსაზღვრა კაპილარული სისხლით (კვარტალში ერთხელ); დიაბეტით გამოწვეული თვალის დაავადებების მონიტორინგი (მათ შორის ფუნდუს კამერით); პროგრამის მოსარგებლეების და მათი მშობლების სამედიცინო განათლება; ფიზიკური რეაბილიტაციის უზრუნველყოფა).

კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლეები არიან – 18 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქე შაქრიანი დიაბეტით დაავადებული ბავშვები, ასევე 18 წელს გადაცილებული საქართველოს მოქალაქე შაქრიანი დიაბეტით დაავადებული პაციენტები, რომელთაც აღენიშნებათ მხედველობის დაქვეითება (უსინათლოები), აქვთ თანდაყოლილი ცერებრული დამბლა ან/და უშაქრო დიაბეტი, დაუნის სინდრომი ან დუშენ-ერბის დაავადება.

მომსახურება იფარება სრულად, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში და არ ითვალისწინებს თანაგადახდას პაციენტის მხრიდან.

ბ) სპეციალიზებულ ამბულატორიულ დახმარებას (შაქრიანი (ინსულინომომხმარებელი, არაინსულინომომხმარებელი) და უშაქრო დიაბეტით დაავადებულ პაციენტებში მედიკამენტის დოზის კორექციისათვის ექიმ-ენდოკრინოლოგის მეთვალყურეობა; პროგრამის მოსარგებლეების შესაბამის სამედიცინო განათლება; ექიმ-ენდოკრინოლოგის დანიშნულების შესაბამისად, საჭიროებისამებრ, ნევროპათოლოგის, კარდიოლოგის, ოფთალმოლოგის და ანგიოლოგის კონსულტაცია; კლინიკო-ლაბორატორიულ გამოკვლევები).

კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლეები არიან – შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებული საქართველოს მოქალაქეები.

მომსახურების ანაზღაურების ერთეულს წარმოადგენს მკურნალობის ეპიზოდი. მომსახურება ფინანსდება ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს 240 ლარისა. პაციენტს აღნიშნული მომსახურების მიღების უფლება აქვს წელიწადში ერთხელ. პროგრამა ფარავს ინსულინომომხმარებელი და უშაქრო დიაბეტით

დაავადებული მოსარგებლეებისთვის მკურნალობის ეპიზოდის ფაქტობრივი ღირებულების 70%-ს, ხოლო მოსარგებლის მხრიდან თანაგადახდა შეადგენს 30%-ს; ხოლო, დიაბეტიტ დაავადებული არაინსულინომომხმარებელი მოსარგებლეებისთვის მკურნალობის ეპიზოდის ფაქტობრივი ღირებულების 50%-ს, ხოლო მოსარგებლის მხრიდან თანაგადახდა შეადგენს 50%-ს.

სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარების ფარგლებში თანაგადახდას არ ექვემდებარება ე.წ. მიზნობრივი პაკეტის მქონე პირებისთვის განწერილი მომსახურებები - სოციალურად დაუცველები (რომელთათვისაც მინიჭებული სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს), პედაგოგები, სააღმზრდელო დაწესებულებების, დედათა და ბავშვთა თავშესაფრებისა და სათემო ორგანიზაციების ბენეფიციარები; ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში, ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატებში მცხოვრები ბენეფიციარები და დასაქმებული უფროსი აღმზრდელები და აღმზრდელები; რეინტეგრაციაში ან მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვები; სახალხო არტისტები, სახალხო მხატვრები და რუსთაველის პრემიის ლაურეატები და ა.შ.

გ) შაქრიანი და უშაქრო დიაბეტიტ დაავადებული მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფას. კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლეები არიან შაქრიანი და უშაქრო დიაბეტიტ დაავადებული საქართველოს მოქალაქეები, საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირები და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა.

ულტრახანმოკლე და ულტრახანგრძლივი ინსულინის ანალოგებით უზრუნველსაყოფი ახლად გამოვლენილ მოსარგებლეთა დადგენა ხორციელდება კომისიური წესით.

მოსარგებლეთათვის აღნიშნული მედიკამენტებით უზრუნველყოფა ხდება უსასყიდლოდ (თანაგადახდის გარეშე) პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

2. „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, ინფექციური დაავადებების მართვის კომპონენტი ითვალისწინებს პათოლოგიური პროცესის მაღალი აქტივობით, ციროზით, ასციტით და/ან ენცეფალოპათიით, და/ან ჰეპატორენული სინდრომით მიმდინარე ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტების სტაციონარულ მკურნალობას, თანაგადახდის პრინციპის გამოყენებით. ამასთან, აღნიშნული მომსახურება არ ფარავს სპეციფიკურ ანტივირუსულ მედიკამენტებს.

3. საქართველოში 2014 წლიდან წარმოებს ღვიძლის გადანერგვა ცოცხალი დონორისგან და არ წარმოებს ღვიძლის გადანერგვა გვამი დონორისგან. აღნიშნული ფინანსდება მხოლოდ, თბილისის მუნიციპალიტეტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოში შესაძლებელია ორგანოგადანერგილ პაციენტთა იმუნოსუპრესიული თერაპია პრეპარატებით: ციკლოსპორინი, პროგრაფი, სელსეპტი. აღნიშნული მედიკამენტების შეძენა ხდება სახელმწიფოს მიერ და გაიცემა აღრიცხვაზე მყოფ პაციენტებზე.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე

ხელმოწერა/შტამპი
მინისტრის პირველი მოადგილე



თამარ გაბუნია